№ 118 11 მარიამობისთვე, ხუთშაბათი 1866—1877 11 მარიამობისთვე, ხუთშაბათი № 118

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბ.ლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანნოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ: მიილება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურსა და სხვა ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ქართულ-სომხურ ასოზე—1 კ.პ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელ სტატია ავტორსარ დაუბრუნდება.

ᲣᲛᲝᲩᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲠᲬᲐᲡᲬᲝᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ს. პეტერბურგში, მომქედი არმიის სარდალისაგან, შემდეგი ტელეგრამმა მისულიათ:

ᲒᲝᲠᲜᲘ-ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲘ, 8 აგვისტოს. რადგან ხანკოისკის გასავალზე იერეშის მოსვლით, 4-ს აგვისტოს, სულეიმან-ფაშამ ეერაფერი გა'ტანა, ამბობენ უნდოო ბალკანის დანარჩენ გასავლებზე დაეცესო, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი ისმის.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

რუსულს გაზეთს „Голосъ"-ში დაბეჭდილია კორრესპონდენცია მდინარე მერკულკის ბანაკიდამ (Აფხაზეთშია), რომლიდამაც რამდენიმე ადგილი უნდა ამოვიღოთ ჩვენი მკითხველებისათვისაც. „ჩვენამდი მოვიდა ამბავი რომ Ოსმალოს Ოჩამჩირელი გარნიზონი ძრიელ ცუდს, არა სანუგეშო მდგომარეობაში იმყოფებაო. Იქაურს ხაშმიანს ადგილს საშინელი ციებება ჩვეულია ასე, რომ ჯარში მეტის მეტად ავადმყოფობა ერეოდა. ამას თან დაერთო მუცელა და, ეს ორი ავათმყოფობა ერთად, ერთობ აშინებენ ჯარებს და მათს გამძლოლსაო. როგორც დატყვევებულები გვიამბობენ, თუ კი, ომის გამოისობით, Აფხაზეთში გამოსული Თათრის ჯარი კიდევ დარჩა იმ ადგილებში რამდენიმე ხანი, ან სულ ამოსწყდებიან და ან აქაურობა მალე უნდა მიატოვონ...."

„ნურავინ ნუ გამიწყრება განაგრძნობს კორრესპონდენტი, და ნურავის ნუ გაუკვირდება რომ ესთქვა, რომ ჯარის ნამეტანი ტან-მრთელობით არც ჩვენ ვსარგებლობთ იმდენათ, რამდენათაც ეს სანატრელია. ჩვენი ახალგაზდა ექიმები, თუმც ყოველ გვარ მეცადინეობას ხმარობენ, მაგრამ ჩვენს ჯარში ასს კაცზე 25 მაინც ყოველთვის გვყავს ავათ. ქარგი წმიდა და მარგებელი საჭმელი ყოველთვის საჭიროა, მაგრამ დღეს მაინც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენი ჯარებისათვის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ ჩვენს ჯარშიაც არ გავრცელდეს რამე სახადი და, საზოგადოთ, ავანტყოფების რიცხვიც შემცირდეს. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ მხრით ე. ი. ჩვენი ჯარების სარგებლობაზე და სურსათზედ ერთობ ცოტა ყურადღებაა მიქცეული: ამ ორი დღის წინეთ ინტენდანსტვოდამ ბრინჯი მოგგვიდა ქაშისათვის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სრულებით დამპალი იყო. ექიმმა დაამოწმა და რაკი ნახა ბრინჯის უვარგისობა, მისი ნიმუში ქალალდით მიართვა ატ-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲗᲤᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡᲙᲔᲜ.

თუმცა მე ჩვეული ვიყავ ყოველ ზაფხულობით ქალაქიდამ სოფლად გასვლას, მაგრამ მასაქეთ, რაც სამსახურის კაცი გავხდი მოვაკლდი ამ ბედნიერებას. ბოლოს მაინც გულმა ვეღარ მომითმინა და სამის დღით გავემგზავრე ბორის უეზდისკენ.

არც ერთ სხვა შემთხვევაში კაცი ისე არ არის დამოკიდებული უცნობ პირებზედ, როგორც მაშინ, როდესაც ის მოგზაურობს რკინის გზით ან გემით. რაკი კაცი ჩაჯდება ეაგონში ის აღარ ეკუთვნის თავის თავს, არამედ სრულიად ექვემდებარება რკინის გზის ადმინისტრაციას. ასე გასინჯეთ თვით დამცველობის გრძნობაც კი ეკარგება კაცს რომლის ძალითაც მას შეეძლო მიეღო' რამ საშუალება განსაცდელის დროს. ამ მოსაზრებათა გამო მე აღარ ვფიქრობდი ჩემ თავზედ და მხოლოდ ვათვალიერებდი ჩემს თანამემგზავრებს, რომელნიც მომეტებულად ომებზედ ლაპარაკობდნენ. იმათ შორის იჯდა ერთი გლეხკაცი, რომელიც მათ ლაპარაკში არაფერს მონაწილეობას არ იღებდა. მიმზვიდელი სახე მისი იყო გაყვითლებული და დაფიქრებული. მე მოეგონა—ალბათ ჯარში იმის ნათესავი მოუკლავთ ვინმე და ამისთვის არის დაღონებული მეთქი. მსურდა რა გამეგო მიზეზი იმის მწუხარებისა ვკითხე:

—შენ ქალაქიდამ ხომ არ მოდიხარ?

—დიახ,—მითხრა იმან ამოოხვრით

—რათა ხარ აგრე დაფიქრებული; უბედურება რამ ხომ არა შეგემთხვარა თფილისში?

—ეჰ! სათქმელათაც მეძნელება,—მითხრა გლეხმა და გაჩუმდა. მაგრამ რადგანაც მე აღარ მოვეხსენ, იმან განაგრძელა:

„აი რა უბედურება შემემთხვა მე ქალაქში.

მე წავიღე ქალაქში რამდენიმე კოდი პური გასასყიდათ, რომ იმ ფულებით მომეშორებინა სხვა-და-სხვა ვალები, რომლებიც ბევრი აწვეს ჩვენს გლეხკაცს კისერზედ. ქარგა გადავიხადე ვალები!. როგორც კი გავყიდე პური, მაშინვე მოვიდნენ ჩემთან ვიღაც სამი კინტო, გამიხმეს მარტო და მაჩვენეს დიდი კინტაური ვერცხლის ქამარი ხელსახოცში გამოკრული და დამიფასეს ოც მანეთად; მაშინ როდესაც ის ქამარი ჩემი აზრით ხუთ თუმანზედ მეტად ღირებოდა. მეც სიხარულით მივეცი ოცი მანეთი. მე სინამ სტანციაზე არ გამოვედი ის ხელსახოცი არ გამიხსნია, რადგან ვფიქრობდი, რომ ის ქამარი მოპარული უნდა ყოფილიყო. როდესაც გამოველ სტანციაზე გავხსენ ხელსახოცი და ისეთი სახანავი შენმა მტერმა ნახოს, რაც მე ხელსახოცში ვნახე! ჩემგნით ნახული ქამრის მაგიერი ხელსახოცში ეყარა რკინისა და შუშის ნამტვრევები და ქვები. ბევრი თავში ქვა ვიეც, მაგრამ ეღარაც ის კი-ვ

რაადის უფროსს.“

„ჩვენს ატრიადს თან-და-თან ემატება ჯარები. Ილორის ატრიადს, რომელიც დაბანაკებულია, ოთხი ვერსით Oჩამჩირეზე, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ზღვას მდინ. Ბალიგზი ერთვის, ამ დღეებში მოუვიდა ცხრა გირვანქიანი ზარბაზნები. Ამათ, მოსვლისათანავე, ავნეს ერთს Oსმალოს ჯავშნიან გემს და იძულებული გახადეს, რომ ცოტა მოშორებით ჩაეგდო ღუზა.“

—

— Ამ გაზეთისავე ზუგდიდელი კორრესპონდენტი აი რას იწერება იმ ჩხუბზე (18 მაისს), რომლის მსხვერპლათაც თ. ს. Დ. მიქელაძე შეიქნა: 18-ს მ ისს, ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, ატრიადის უფროსს, რომელიც ს. Ათარაში იყო დაბანაკებული, მოსდის ამბავი, რომ Აფხაზების აუარებელი ჯარი მდ. Კოდორის მარცხენა მხარეზე გადმოდისო. Ამ გზის მოსასპობლად, თავ. ს. მიქელაძის ხელ-ქვეით, გამოგზავნილნი იყვნენ ერთი ნაწილი Ქუთაისის დრუჟინისა და რამდენიმე კაცი კაზაკები. Მისვლისათანავე თ. Მიქელაძემ, უკვეთ არ შეიძლება ისე აასრულა თავისი უფროსის მონდობილობა: საშინლათ დამარცხებული აფხაზები, გაიქცნენ; დარჩენილს ნავებს და ბარკასებს, რომლითაც ისინი წყალზე გადმოსულიყვნენ თ. მიქელაძის ბრძანებით, ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს.

„Ამის შემდეგ თ. მიქელაძე იძულებული იყო ღამე იქ გაეთია, თუმცა ხედავდა, რომ რამ შემთხვევა ჰქონოდათ, სათითაოთ მის ჯარის კაცებს თითო პატრონის მეტი აღარ დარჩენოდა. Უეცრად, ღამის სამი საათი იქნებოდა, ტყიდამ Აფხაზების აუარებელი ჯარი გამოჩნდა, რომელთაც ისარგებლეს სიბნელით და საშინელის ხმაურობით თავს დაეცნენ მიქელაძის ბანაკს. Მიქელაძის დრუჟინა, თუმც სრულებით არ ელოდა ამას, მაგრამ მაინც ძრიელ გაბედულად და ყოჩაღათ დახვდნენ მტერს. Სამწუხაროდ პატრონების ნაკლებობამ ჩააჩუმა ჩვენებურების თოფები. Ამ დროს მიქელაძე ტყვიით იყო დაჭრილი მარცხენა გვერდში. Მას თითქოს მუხლები ეკვეცებოდა, მაგრამ, რაც ღონე ჰქონდა, კიდევ მოიკრიფა და ერთი საშინელის ხმით შესძახა თავის დრუჟინას: „Ნუ შეშინდებით, ყმაწვილებო! Ხმლებით მიდითო! Და თავათაც შევარდა მტრის ზედ შუაგულ რაზმში. Თუმც სისხლიდამ იცლებოდა, მაგრამ გაშმაგებულ მტერთან მაინც თავისი სიმამაცე გამოიჩინა: ექვსჯელ მამაკვდინებელად დასცალა თავისი რევოლვერი მაგრამ ამ დროს სამმა მტრის ტყვიამ იმასაც იქვე ბოლო მოუღეს.“

Თ. ს. Დ. მიქელაძეს, ეს პირველად არ არის, რომ Oსმალებთან რუსეთის ომში მიუღია მონაწილეობა. Მაგ. 1853 წ. 19 ნოემბერს Ბაშკადე-კლართან ომში ყოფილა; 1854 წ. 24 ივლისს—Ქიურუქ-Დარასთან, რომლის შემდეგაც ის აფიცრის ჩინით დაუჯილდოებიათ; 1855 წ. ყარსთან ყოფილა, [illegible] სრულებით არ აილეს [illegible]. 1859 წლის Ბუნიბის აღებაში მიუღია ძრიელი მამაცი მონაწილეობა, რომლის გულისათვისაც ის მეოთხე ხარისხის წმ. Გიორგის ჯვარით და ოქროს ხმლით, ზედ წარწერით: „მამაცობისათვის“, დააჯილდოეს. 1861, 1862 და 1863 წწ. თ. ს. მიქელაძეს მიუღია მონაწილეობა Აღმოსავლეთის Კავკასიის დაპყრობაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

*** 16 აგვისტოს, ჩაუყვანიათ Პეტერბურგში იმ Დიდოულების ოთხასი ოჯახი, რომელთაც ამაწინეთ არეულება მოახდინეს და რომელთაც რუსის მართებლობამ სასჯელათ Oლონეცკის, Ვოლოგოდის და Ნოვგოროდსკის გუბერნიებში დაუნიშნათ საცხოვრებელი ადგილი.— „Ამ გუბერნიებში იმისთანა ჰავა არის, რომ სამხრეთის მცხოვრებ ხალხს იმისი ატანაარ შეუძლია, მაგრამ მართებლობამ მაინც ეს გუბერნიები ამო არჩია მათთვის“ —ასე სწერია, მათ გარდასახლების შესახებ, ბრძანებაში.—Ნიკოლაევსკის რკინის გზის ვოკზალიდამ ისინი ქალაქის საპყრობილეში წაუყვანიათ, საიდამაც 1 მალე დანიშნულ გუბერნიებში დაარიგებენო. Მათი მამაცური და გაბედული სახის მეტყველება და ტანს ჩაცმულობა, უნებლიეთ, იპყრობდა ქუჩებზე მოსიარულე

ლოები ვიპოვენე და ვეღარც საქმეს ვუშველე. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ რომ იტყვიან, სწორედ მე მომივიდა. Რა მდიდარი კაცი მე მნახეს იმ წყეულებმა კინტოებმა რომ მომატყუეს.

Ამას მელაპარაკებოდა გლეხი კაცი რომ კონდუხტორი შემოვიდა და დაიძახა, რომ Ბორში ვინც მიდიხართ ბილეთები მამეცითო. Მივეცი ბილეთი და ცოტა ხანს უკან Ბორის სტანციასთან მივიდა მატარებელი.

Იმავე ღამეს Ბორის სტანციიდამ ფაეტონით გაველი ხიდისთავში. Იმ ღამეს გარეთ დავაგებინე ლოგინი. Მშვენიერი გრილი ღამე იყო. Ახალი მთვარე დასცურაობდა მოწმენდილ ცაზედ და მოკაშკაშე ვარსკვლავნი უხვათ აბნევდნენ თავიანთ სხივებს დედამიწაზედ. Უველგან დუმილი და სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ მინდვრიდგან მომავალი ურმების ჭრიალი და მათზედ მჯდომი მეურმეების ტკბილი ღიღინი არღვევდა მყუდროებას. Იმათი ტკბილი ღიღინი უნებურად მაგონებდა ერთი დაუბეჭდავი პოემიდგან შემდეგ სტრიქონებს:

Oხ ღმერთო! ეს რა ტკბილი ხმებია,
Ვინც იცის ვისი ნათქვამებია.
Ამ სიმღერების გაგონებაზედ
Გული ხან ლხინობს და ხან ღონდება,
Ხალხისა ვაება და სიხარული
Ამა ხმებშია მთლად იხატება.

—

Მეორე დღეს გამოვიკითხე მოსავლის ვითარება და პურის მოსავალი ყოველამ ერთ ხმად აქეს. Ურწყავ მიწებში დათესილი სიმინდი კი ისე მოუწვამს გვალვას, რომ ეხლავე სჭრიან და საქონლისათვის საჭმელად ინახვენ.

Წრეულს მე ვგონებ პური ძვირი უნდა იყოს, რადგანაც სიმინდის მოუსვლელობის გამო გლეხები პურს თვითონ მოიხმარებენ . და გასასყიდი ბევრი არა დარჩებათრა. Ამას გარდა ამბობენ, რომ მთაში (ოსებში) წრეულს ყველაფერი მოსცდაო და კარგი საქმე იქნება, რომ Ქართლმა თავის თავი და მთის ხალხი შეიოკოსო.

Oრს აგვისტოს Ბორში დევესწარ ქართულ წარმოდგენას. Წარმოადგინეს „ხათაბალა“ Გაბ. Სუნდუკიანცისა. Პროვინციელებს რასაკვირველია არ მოეთხოვებათ, რომ ისე წარმოადგინონ ეს კომედია, როგორც ქალაქში, რადგანაც სცენის მოწყობილობა ამის ნებას არ აძლევთ მათ. Მაგრამ ბევრი ისეთი ნაკლულევანება შევნიშნე მოთამაშეებს, რომ იმათ სცენის მოწყობილობა ვერ გაასწორდება. Მაგ. როლების მტკნარი უცოდინარობა და თავ-თავის დროზედ შეუსვლელ-გამოუსვლელობა, ერთი სიტყვით ნამდვილი არეულ-დარეულობა. Მე ყველა მოთამაშეების თამაშობას ცალ-ცალკე არ გავარჩევ. Ვიტყვი მხოლოდ, რომ მოთამაშეთა შორის განსაკუთრებითი ყურადღება პუბლიკისა ნატალია გაბუნიამ მიიქცია. Ეს ქალი მართლა რომ ნიჭიერად თამაშობს და ერთი ათად უფრო უკეთესად ითამაშებს, თუ რომ სხვა მოთამაშე პირნიც, ბევრად თუ ცოტად, კარგები შეხვდებიან.

Სოხიკო

ხალხის ყურადღებას.—ძუჩები ხალხით გაიტენა, რომ შეეხედნათ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ მთიულებისათვის.— „მოსკოვის უწყებების“ ᲐᲮᲢᲠᲐᲮᲐᲜᲔᲚᲘ კორრესპონდენტი, რომელსაც ეს გადმოსახლებული ᲓᲘᲓᲝᲔᲚᲔᲑᲘ უნახავს, ამბობს: „საკვირველია, რომ ამ გადმოსახლებულებში ახალგაზდები ძიელ ცოტანი არიან.— ᲔᲠᲗᲛᲐ ამათგანმა, როგორც იყო დიდის წვალებით ამიხსნა, რომ არეულობის მიზეზი—ᲗᲣᲨᲔᲑᲗᲐᲜ მათი საერთო საბალახოები ყოფილა“...

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ იქ-ეს რამდენიმე დღეა, ღდე გამოშვებით წვიმსო.

*** ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 9 აგვისტოს, თითქმის მთელი დღე, ქალაქშიაც წვიმდა.—ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ ეს სამი დღეა ქალაქში გრილა, რასაც ქალაქის მცხოვრებლები არ არიან ამდროს მიჩვეულნი.

*** 5-ს აგვისტოს ᲫᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲛ ᲫᲝᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ მიმავალი მგზავრი, რკინის გზით, შემდეგს შემთხვევას აგვიწერს: „ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ სტანციას გაცილებული ვიყავით, უეცრად ყმაწვილის ყვირილი მოგვესმა.—ᲗᲣᲠᲛᲔ ამ საბრალო ყმაწვილს ლოკომოტივი მოხვედრია და რელსების შუა მოუმწყვდევია. ᲣᲪᲑᲐᲗ შეაჩერეს ლოკომოტივი და გამოიყვანეს ყმაწვილი, რომელსაც თავი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ გატეხილი. ᲛᲐᲨᲘᲜᲘᲡᲢᲘ ამბობს, რომ ყმაწვილი მუნჯი იყო უთუოთოო, რადგან ბევრი ეუყვირეთ, მაგრამ ვერაფერი გაეგონეთო.“

ᲨᲔᲫᲕᲔᲚᲘᲐ, თუ თავი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ გატეხილი, ტვინი შეერყეოდა და მუნჯიც რომ არ ᲰᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ამის შემდეგ, მაინც „დამუნჯდებოდა.“

*** ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲛ გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი:

ᲓᲘᲓᲘᲡ სეტყვისა დ‹ წვიმისაგან‹ მოვარდა უშველებელი ღვარი, სომხების ᲐᲠᲮᲘᲔᲠᲔᲘᲡ აბანოს მხრიდგან და ჩამოეშო ეიწრო ხევში. ᲐᲛ ხევის ორივ მხრიდგან, შენობები დასძალა ღვარმა და, გარდა ამისა, სამხრეთის მხარისკენ 16-ს მაღაზიას გამოუთხარა ძირი და დაამხო პირქვე. ᲐᲛ დამხობისათანავე ერთს იმ მაღაზიებთაგანში გაჩნდა ცეცხლი; ერთი მხრიდგან იწოდა ეს მაღაზია და მეორის მხრიდგან წყალს მიᲰᲥᲝᲜᲓᲐ მათი საქონელი. ᲔᲡ კიდევ არაფერი. სამი კაციც იმსხვერპლა, რომელნიც მაღაზიებს ქვეშ მოემწყვრიენ და ბევრნი სხვებიც დაქეცილები არიან, რომლებთაც სიცოცხლეს უძნელებენ:

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ და იმავე საათსა ურიების უბანშიაც ჩავარდა ღვარი და სათითაოთ ყველას სახლები აუმსო წყალმა, ასე, რომ დღესაც ვერ დაუცლიათ გავსებული ტალახით სახლები; ერთი ურიის ახალ გაზდა ქალიც შიგ სახლში იპოვნეს ღვარიდგან დამხრჩვალი. ᲫᲚᲘᲔᲠ გლახა მდგომარეობაში ჩავარდნენ მაღაზიების პატრონები; ურიებს კი იმდენათ არ უᲭᲘᲠᲘᲡᲗ-რა.

*** ᲖᲝᲠᲘᲓᲐᲛ გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი: ᲐᲛᲗᲕᲘᲡ 2-ᲡᲖᲝᲠᲘᲡ როტონდაში დაᲭᲠᲘᲚᲗᲐ და საქალებო უფასო შვილის სასარგებლოთ წარმოადგინეს ქართული კომედია, „ᲮᲐᲗᲐᲑᲐᲚᲐ“ და ერთი რუსული ვოდევილი. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ბილეთის ფასი იყო ერთი მანეთი, მაგრამ მაინც იმდენი ბილეთი გაყიდულა, რომ ᲮᲐᲠᲯᲘᲐᲜᲐᲗ ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ თუმანი შეგროებულა. (ᲮᲐᲠᲯᲡ ამბობენ 25 მანეთისას.) ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ წარმოდგენა გვარიანი უნდა ᲰᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება, როგორც რეპეტიციიდამ სჩანდა, უნდა მიექცია ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ გაბუნიას ქალს, რომელიც სწორეთ მშვენივრათ, უნაკლულოთ ასრულებდა თავის როლს ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ კიდე უნდა ᲰᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ მეორე წარმოდგენაც ამ დღეებში, მაგრამ ეტყობა ცუდ ამინდებს, წვიმებს მოუშლია.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲝᲠᲐᲞᲘᲠᲘ 3 აგვისტოს. ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ამ დროს, თუ გახსოვთ, ერთი ჩვენი შეწუხების ანბავი დამიბეᲭდეთ თქვენს გაზეთში—ᲝᲠᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲨᲝᲡᲔᲡ გზისთ თაობაზე. ᲐᲛ ამბის გამოᲨᲐᲛᲙᲐᲠᲔᲑᲐᲛ ააწმაწუნა ჩვენი ნაზირატელი. მოგეცათ დღეგძელობა, ბატონო რედაქტორო, როგორც ძროხას ბაწარი წახსნა თავზე, ისრე წაგვეხსნა ტანჯვა ჩვენი ნაზირატელისაგან: მას აქეთ გვარიანი მოსვენებული ცხოვრება გვქონდა ამ ომიანობის გამოცხადებამდის და მერმეც.

ᲠᲘᲒᲘ და წესი ნუ მოგაკლდესთ, ბატონო, რიგიანი მუშაობაც გვქონდა ჩვენ გლეხობას პრავიანტის გადატან-გადმოტანით, სანამ ჩვენი თავად აზნაურობა, პრისტავი და მამასახლისები არ აიღებდნენ ამ ხელობას. ᲐᲛᲐᲗ, რომ მოესპოთ ჩვენთვის ეს ხელობა, სამი აბაზი ექვს შაურათ გახადეს და ამ ბოლოს, ერთი ქუთათური ეᲭᲐᲠᲘᲡ წყალობით, აბაზათაც აღარ არის. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ამან თქვენი ᲭᲘᲠᲘ წაიღოს. ᲐᲛᲐᲖᲔ უფრო ჩვენთვის შესაწუხებელი ამბავიც გახლავთ: ეს ნაპოდრიაჩიკეები კაცები დარჩნენ უსაქმოთ, ომში წასელა, ჩემი არ იყვეს, თურმე ეშინიანთ და სალხში თუ დაგვახელეს სიᲥᲐᲡ გვართმევენ, თითქო ქუთათური ეᲭᲐᲠᲘᲡ ᲯᲐᲒᲘᲠᲘ ჩვენზედ უნდა ამოიღონ: ᲰᲐᲡᲪᲔᲪᲮᲚᲔᲜ წითელ ღვინოს და, რუსული ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲜᲘᲕᲘᲗ, გვიბრაგუნებ ზურგზე, თუ შეეხდით; სიᲯᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲕᲔᲡᲗᲘᲡ, ყურსაც ᲐᲠ ᲓᲐᲙᲠᲭᲘᲚᲔᲑᲗ, რადგან ჩვენმა ნეტარ ხსენებულმა ბატონებმა შეგვაჩვიეს, მარა ეხლა კეტი და ხანჯალიც იხმარეს: ამას წინეთ, პირველ ამ თვეს, ერთს ჩემს მეზობელს ᲗᲝᲗᲤᲣᲠᲘ—ას წაელაპარაკა ვიღაც ᲚᲔᲥᲐᲕᲐᲛ. ᲐᲛᲐᲜ დასცა ხანჯალი ᲗᲝᲗᲤᲣᲠᲘᲐᲡ გულში და ზურგში თავი ამოაყოფინა. ᲖᲐᲕᲐᲥᲪᲘᲔᲗ კაცი სამტრედიაში პრისტავთან, ეგებ რამე გვაშველოს თქო, მარა მეტი არაა თქვენი მტერი, თავი იმასაც საშველათ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ თურმე: ჩაეცეცხლათ მას და მის მწერალს, აეტეხათ ჩხუბი გლეხებთან და მედუქნეებთან და მრთელ სამტრედიაში „სულ ვაი დედას“ ძახილი იყოო, როგორც გაგზავნილმა კაცმა გვიამბო.

ᲔᲮᲚᲐ იფიᲥრეთ, რა უბედურებაა ჩვენს თავზე. ᲖᲐᲒᲔᲚᲐᲮᲕᲔᲜ, მოგვკვლენ, საჩივარის არდგილსაც ველარ ვშოულობთ, რადგან, სხვაზე აღრე უწესოებაში ადგილობრივი ჩვენი, წესიერების დამცველები სჩასდიან...

ᲖᲚᲔᲮᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲐ ᲩᲐᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲛ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, რომელიც „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ მე 109 ნომერში იყო დაბეᲭდილი და რომელსაც ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ „მაღალი საზოგადოება“ ასე აუღელვებია, ჩვენ ამ ნომერში ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ორს თავის მართლებას ვაძლევთ ალაგს. შემთხვევა გვაქვს აქვე გამოვაცხადოთ, რომ ის ხსებული შენიშვნა ჩვენ არც უ. ს. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ და არც უ. ს. ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ არ მიგვიღია.

I

ᲣᲤᲐᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ გაზეთის მე № 109-ს „ᲓᲦᲔᲣᲠᲨᲘ“, სხვათა ᲨᲝᲠᲘᲡ, არის ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ გამოგზავნილი შენიშვნა ესრეთ წოდებულ „მაღალს საზოგადოებაზე“. ᲐᲛ შენიშვნაზედ გთხოვთ უფ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ, ორიოდე სიტყვის თქმა მიბოძოთ.

ᲡᲐᲥᲛᲔ აი რაᲨᲘᲓ იყო: მართალია ახალ გაზდებს, იქაურ წმ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲖᲐᲕᲔᲓᲔᲜᲘᲘᲡ ერთი ღარიბი ქალის სასარგელოთ, ქართული წარმოდგენის გამართვა სურდათ, მაგრამ ეს განზრახვა დაბრკოლდა მით, რომ ერთს ყმარწვილ ქალს, რომელსაც უნდა მიეღო წარმოდგენაში მონაწილეობა, ეკითხა თავის ნათესავისთ. Დ.Ჯ—ისთვის მიეღო ამ წარმოდგენაში მონაწილეობა, თუ არა. ᲐᲛ უკანასკნელს დაეშალა, რომლის საფუძელათ, სხვა და სხვა მიზეზებთა ᲨᲝᲠᲘᲡ, რომლების დაწერილებით მოხსენებას მე აქ შესაძლებელათ ვერ ეხედავ, გამოეთქვა: „ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓ ᲠᲘ-

რებში ურევიან ორიოდე იმისთანა პირნი, რომლებთანაც გარევას ჩემს მახლობლებთ არ ურჩევდი; მით უმეტეს, რომ თვით პიესა არის უცენზურო.“

რა შეიტყვეს ეს ჰაზრი სხვის დედებმაც,—იმათაც არ მისცეს თავიანთ ქალებს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების ნება და აი, ამ მიზეზით ეს კეთილი განზრახვა შემდგარია.

უნდა ვსთქვა—შენიშვნის პირველ განყოფილებაში ისეთი შეუსაბამო ჰაზრი იყო, რომელმაც აღელა სრულიად ჩვენი საზოგადოება და უმეტეს ამ საზოგადოების მდედრობითი სქესი, რომლებიც დიდის უყმაყოფილო სახით არიან ჩემზედ მით უმეტეს, რომ იმ წარმოდგენის მოთავე პირი ავრცელებს ჩემზე თელავის საზოგადოებაში ცრუ ხმებს, რომ ვითომც მე ვიყო მომწერი იმ შენიშვნისა (მე კი, იმას უნდა თავისი მური სხვას გარდადოს). სიმართლის დასაცველად უმორჩილესად გთხოვთ, უფ, რერაქტორო, ამ წერილს მისცეთ ადგილი თქვენს პატივ-ცემულს „დროების“ ფურცელზე თქვენგანვე დაეძენით ორიოდ სიტყვისა:

ჩემგან წარმოგეგზავნათ შენიშვნა იგი, მოხსენებულის „დროების „№ 109-ში, თუ არა?

სოლომონ წერეთელი.

ქ. თელავი. 5 აგვისტოს.

II

მე № 109 დაბეჭდილმა შენიშვნამ, თქვენ პატივცემულ გაზეთში, ეგრეთ წოდებულს თელავის „მაღალ საზოგადოებაზე“ ისეთი ღელვა მოახდინა ჩვენ ქალაქში, რომ გარდაამეტა იმ შფოთას, რომელიც მოხდა შენიშვნაში მოყვანილ პირის ჭორიკანობით. თვითონ ეს პირი ისეთ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი, რომ არ იცის რა ქნას ხან ერთს დაბრალებს და ხან მეორეს შენიშვნის დაბეჭდვინებას. უკანასკნელ დღეებში ჩემზე აიღო ეჭვი და მიპირებს ოცდა ოთხ საათის განმავლობაში დამხვრიტოს. ბოდიშ-ვთხოვთ, მამანიჭოთ სიცოცხლე მით, რომ გამაცხადოთ თქვენს გაზეთში—მიმიღია მე როგორმელიმე მონაწილეობა ხსენებულ შენიშვნის დაბეჭდვაში თუ არა, თორემ ხომ იცით, როგორც მე, ისე თქვენც ოცდა ოთხ საათში, სამხედრო კანონის ძალით!...

ს. მაყვეკი.

თელავი. 5 მარიამობისთვე

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ 19 ამ აგვისტოს, იმისივე თანდასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა ქალაქის მიწაზე, რომელსაც უჭირავს 182,82 ოთხ-კუთხი ადგილი და არის ქალაქის 2 განყოფილების 11 უბასტაკში, ანდრეევსკის ქუჩაზე—მოვაჭრეები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კანონიერი გირაოები.

ჰსურთ აიყვანონ უმაწვილები რომელნიც უნდა იყვნენ სასწავლებელი დაბალი კლასებისთვის მოსამზადებლად: აგრეთვე შეუძლიათ აასრულონ **კანტორჩიკობა** როგორაც იყოს კანტორა, მამულის გაგეობა. იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

მიიცემა **ქირით სახლები** პოლკოვნიკის იერუსალიმსკისა, ბერაბე, უბოველის ტუთვინლებით. **სულ ოთხ ფლიგელია**, ოლგის ქუჩაზე, ექვს ოთახიანი, დანარჩენი სამი იქვე ეზოში; თითოეულ ამ ფლიგელში სამ-სამი ოთახია.

ქილილა და მანა,

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე **ვახტანგისაგან** და გალექსილი **საბა სულხან ორბელიანისაგან**. სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

„კეკეთი“

სარძეო სარდაფს „**კეკეთში**“, ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, მეტანა, ტვოროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.—

ამ ზაფხულს მსურველთ ბოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „**კეკეთი**“ იმყოფება: **სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.**

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, ბიორგი მეფისა, ქათალიკოზისა, აღბუღასი-ბერძმული, სომხური და ურიული (მოსესი). ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, სუფთათ, და ყდაში არის შეკრული.

ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . .	1	44			4	42	2	46
შვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აბ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
აბ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
შვირილა . .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	ბ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75
ფოშტა		
ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.		
წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	
და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის	4	
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8	

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 2 აგვისტოს		
ერთი ინგლისი ლირა:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიეში 260 სანტიმი.	—	81
ამსტერდამ(სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი(პირველისესხი)	206	50
მოგებიანი (მეორე ესესხი)	206	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5%)	83	—
მოსკოვის (5%). .	90	50
აქციები:		
ოდესის საკაბრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემები	465	—
ქაკაზის და მერკურიისა. .	203	—
პირვ. საზღვეა. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვეა. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვეა. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 7 აგვისტოს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	20
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუ.	7	80
მატყლი თუშური ფუ .	6	—
—თარაქმისა ფუ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ძონი, ფუთი. . .	5	50
ძონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	7	50
ყავა გრეკალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	92

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Августа 1877 г. Типографія Мелихова. **გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.**